სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/13

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2026 წლის ნაერთ ბიუჯეტსა და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის (ვიცე-კანცლერი) თეიმურაზ ბულიას 2026 წლის 20 მარტის №0000340972 და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 24 მარტის №0000353704 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის 2026 წლის ნაერთ ბიუჯეტსა და საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის (ვიცე-კანცლერი) 2026 წლის 20 მარტის №0000340972 და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 24 მარტის №0000353704 წერილებით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. უნივერსიტეტის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**